



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო**  
**უნივერსიტეტი**  
 Legal Entity Public Law  
**SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY**  
**აკადემიური საბჭო ACADEMIC COUNCIL**



ოქთი № 17

„12“

12

2018 წ

**დადგენილება № 76**

„სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 13 მარტის N19 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესიში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტისა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პიველი და მე-2 ნაწილებისა და 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე- ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის #52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის N51 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად, აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 13 მარტის N19 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესიში და აღნიშნული წესის:

ა) მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ“ აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსში გამარჯვებული პირი ვალდებულია უნივერსიტეტან გააფორმოს აფილირების ხელშეკრულება (იხ. დანართი);“

ბ) მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ამოღებული იქნეს;

გ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. გარდამავალი დებულებები

ა) უნივერსიტეტის ის აკადემიური პერსონალი, რომელსაც გააჩნია ამ წესის ძალაში შესვლის დროისათვის მოქმედი შრომითი ხელშეკრულება, ვალდებულია, გაეცნოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესსა და პირობებს და უფლებამოსილია, უნივერსიტეტან გააფორმოს აფილირების შეთანხმება წინამდებარე წესით განსაზღვრული პირობებით მიმდინარე წლის პირველ აპრილამდე.

ბ) პირს, რომელსაც აკადემიური თანამდებობა უკავია, როგორც უნივერსიტეტი, ასევე სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და აფილირების ხელშეკრულება გაფორმებული აქვს სხვა უნივერსიტეტან, უფლება აქვს, ხელშეკრულების ვადის გასვლამდე შრომითი ურთიერთობა გააგრძელოს უნივერსიტეტან აფილირების გარეშე, თუ ასრულებს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემით განსაზღვრულ პირობებს.“

2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ.ახალციხე კ.მებაღიშვილის ქ.N62.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,  
რექტორი, ასოცირებული პროფესორი

2.



მაკა ბერიძე